

კანონშემოქმედებითი საქმიანობის ტექნიკა

მაიკ ს. მასბაუმი*

წინამდებარე სტატიით მიიწვევს გავაგრძელო პროფესორ ვიურტენბერგერის სტატიის თემა კანონშემოქმედების პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით და გაგაცნობთ კანონშემოქმედების ზოგიერთი ტექნიკური ასპექტი, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება კანონის უზენაესობის პრინციპს და რომელიც, ჩემი აზრით, შეტად საყურადღებოა „კარგი კანონის“ მოზადებისას. ამ ასპექტების უმეტესობა არც ახალია და არც ჩემ მიერ შემუშავებული, არამედ ყველა მათგანს საკმაოდ დიდი ლიბერალური ტრადიცია აქვს, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ განმანათლებლობის პერიოდიდან იღებს. მონტესკიეს სახელი ამ პრინციპების ჩამოყალიბებასთან განსაკუთრებულადაა დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ ამ სტატიიდან თქვენთვის ბევრი რამ ნაცნობია, მე მაინც ვფიქრობ, რომ ყოველთვის სასარგებლოა ამ ფუნდამენტური პრინციპების კვლავ და კვლავ გააზრება, მით უმეტეს, ახალი საკანონმდებლო პერიოდის დასაწყისში, განსაკუთრებულ ისტორიულ სიტუაციაში.

კანონთა შესამუშავებლად ამგვარი პრინციპების განვითარების ათევის წერტილი არის კანონის უზენაესობის პრინციპი, რომელიც, რა თქმა უნდა, საქართველოს საკონსტიტუციო სისტემის შემადგენელი ნაწილია, და რომელიც, მრავალ დემოკრატიულ სამართლებრივ კულტურაში დამკვიდრებული შემეცნების თანახმად, სახელმწიფოსგან არა მარტო სამართლებრივი წყობის შექმნასა და რეალიზებას მოითხოვს, არამედ იმასაც, რომ სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილ იქნეს გარკვეული, უმეტესწილად განმარტებების საშუალებით ისტორიულად ჩამოყალიბებული, ნაწილობრივ კი კონსტიტუციაში ნათლად დაფიქსირებული, სამართლებრივი პრინციპების დაცვა.

ამ პრინციპთა რიცხვს გერმანულ და, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ქართულ სამართლებრივ შემეცნებაში განსაკუთრებით შემდეგი მიეკუთვნება:

- უფლებამოსილებათა გამიჯვნა;
- ადამიანის უფლებების დაცვა;
- კანონმდებლობის დაქვემდებარება საკონსტიტუციო წყობისადმი;
- აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების კანონისადმი დაქვემდებარება;
- სახელმწიფოს ქმედების საშუალებებისა და მიზნების პროპორციულობის პრინციპი;
- აღმასრულებელი ორგანოების მიერ სამართალდარღვევებისაგან დაცვა დამოუკიდებელი სასამართლოების მიერ.

სამართლებრივი სახელმწიფოს კიდევ ერთი ფუნდამენტური პრინციპი, რომელსაც კანონშემოქმედებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, არის სახელმწიფო ქმედებების ზომვა-დობა. ამ პრინციპის მიხედვით, სახელმწიფოს ქმედებები, ანუ კანონები და კანონზე დაფუძნებული ქმედებები, მოქალაქისათვის საკმარის დონეზე პროგნოზირებადი და განსაზღვრადი, ანუ კანონში გარკვევით დაფიქსირებული და ადვილად გასაგები უნდა იყოს. სახელმწიფოს ქმედების ზომვადობის მოთხოვნიდან გამომდინარე, აუცილებლად წარმოიშობა ასევე განსაკუთრებული მოთხოვნები კანონთა შინაარსობრივი გაფორმების მიმართ.

ამის შესაბამისად, კანონში დაფიქსირებული სახელმწიფო ქმედების ზომვადობის პრინციპი, პირველ რიგში, მოითხოვს, სახელმწიფოს ეს ქმედება მოქალაქისთვის ან მისი იურიდიული

* იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, „ჯეპლაკის“ უფროსი მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში.

წარმომადგენლისთვის საკმარისად გასაგები იყოს (კანონმდებელმა გერმანიაში დიდი ხნის წინ თქვა უარი ამბიციაზე, რომ კანონები აუცილებლად ყველა რიგითი მოქალაქისათვის გასაგებად უნდა იყოს ფორმულირებული), რაც განპირობებულია იმით, რომ კანონით გათვალისწინებული შედეგები მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება პროგნოზირებადი, თუ კანონები გასაგებად და ზუსტად ფორმულირდება. მოქალაქეს უნდა ჰქონდეს საშუალება, გაიგოს, თუ რას მოითხოვს მისგან სახელმწიფო, რათა მისი მოქმედება ნდობაზე იყოს დაფუძნებული და, ამასთანავე, მისადაგებული საზოგადოების სხვა წევრების უფლებებთან.

სახელმწიფოს ქმედების ზომავადობის კომპონენტს ემატება ასევე დემოკრატიული კომპონენტი, რომელიც წარმოაჩენს „კარგი“, ანუ გასაგები, კანონის მნიშვნელობას. მოქალაქეს უნდა შეეძლოს, საჯაროდ იმსჯელოს კანონების შინაარსზე და ამგვარად გავლენა მოახდინოს პოლიტიკური აზრის ჩამოყალიბების პროცესზე. ეს ორი მომენტი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება განხორციელებადი, თუ მოქალაქეს გამოქვეყნებული კანონის ტექსტის ნაკითხვა არა მარტო ფიზიკურად შეეძლება, არამედ იმის საშუალებაც ექნება, რომ იგი ინტელექტუალურად გაიგოს. თუმცა, სახელმწიფოს საკმაოდ ფართო სამოქმედო სივრცე აქვს კანონთა ფორმულირებისას და ყველა გაუგებრობას არ შეუძლია წესის სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი ხასიათი კითხვის ქვეშ დააყენოს.

ეს პრინციპები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ გარდამავალი საზოგადოებების სამართლებრივი წყობის ფორმირების დროს, რომელთა მიზანი ქმედუნარიანი დემოკრატიული, სამართლებრივი და საბაზრო-ეკონომიკური სტრუქტურების შექმნაა. ამ საზოგადოებებს არ გააჩნიათ ისტორიულად განპირობებული სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი კულტურის ნიადაგი და ხშირად რამდენიმე წელიწადში დიდი ძალისხმევის შედეგად ყალიბდებიან, რაც ყოველთვის არ ხდება საკანონმდებლო ხელოვნების წესების გათვალისწინებით და ამიტომ მათი კანონმდებლობის განვითარება საკმაოდ დიდ ყურადღებას მოითხოვს.

ამის გათვალისწინებით, ქვემოთ წარმოგიდგინთ განსხვავებულ ტექნიკურ წესებს, რომელთა დაცვაც ჯერ კიდევ კანონპროექტების შემუშავების ეტაპზე სამართლებრივი სისტემის გამჭვირვალედ და გასაგებად ფორმირებაში დაგვეხმარება.

I. კანონის სტრუქტურა და ლოგიკური წყობა

ამ წესთა პირველი ჯგუფი, რომელიც მსურს წარმოგიდგინოთ, კანონის სტრუქტურული წყობის ლოგიკას შეეხება. გონივრულია, რომ კანონს ლოგიკურად გამართული სტრუქტურა მიეცეს, რაც კანონის მომხმარებლისათვის არსებით დებულებებს ხელმისაწვდომს გახდის. ეს ძირითადად ნიშნავს, რომ კანონი გონივრულად უნდა იყოს დაყოფილი. ამ თვალსაზრისით, შესაძლებელია, კარგ დახმარებას გვიწვედეს სათაურები, ცალკეული თავები და ნაწილები, ისევე როგორც ლოგიკურად აწყობილი აბზაცები და ნუმერაცია. ამ პროცესისთვის შესაბამისი სახის მისაცემად რეკომენდებულია უნიფიცირებული ფორმათა სტანდარტის გამოყენება. ერთ-ერთი ნაბიჯი, რომელიც გერმანიაში ამ მიმართულებით გადაიდგა, არის სამართლებრივი ნორმების შემუშავების სახელმძღვანელო წესები (*Handbuch der Rechtsförmlichkeit*), რომლის რუსული თარგმანის მოძიება შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ბიბლიოთეკაში.

კანონის ლოგიკური წყობის შემუშავებისას გონივრულია კანონის ფარგლებში გარკვეული ტექსტობრივი ჯგუფების შექმნა და მათი დაყოფა ზოგადიდან განსაკუთრებულამდე. მნიშვნელოვანია ასევე, რომ ეს წყობა გავრცელდეს არა მხოლოდ ცალკეული კანონის სტრუქტურაზე, არამედ მთელ სამართლებრივ სისტემაზე. ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში მყოფ, მაგრამ სხვადასხვა კანონში გაბნეულ წესებში დიდი საფრთხე იმალება, რადგან ისინი სამართლის მომხმარებელს არასრულყოფილ სურათს სთავაზობენ. ამიტომ მიზანშეწონილია სამართლის ლოგიკური და გონივრული კლასიფიკაცია. მრავალი სამართლებრივი სისტემისათვის დამახასიათებელია სამართლის უკვე კარგად გამოცდილი დაყოფა საჯარო და კერძო სამართლად.

მაგალითად, გერმანიის სამართალში საჯარო სამართალი შედგება: საერთაშორისო, სახელმწიფო და საკონსტიტუციო, ადმინისტრაციული, საეკლესიო, სისხლის, სასამართლო მონყობის, საპროცესო, ნებაყოფილობითი განსჯადობის, საფინანსო, საგადასახადო და სოციალური სამართლისაგან; კერძო სამართალი, თავის მხრივ, იყოფა სამოქალაქო, სავაჭრო და ეკონომიკურ სამართლად. გარდა ამისა, არსებობს სამართლის სფეროები, მაგალითად: შრომის, ინტელექტუალური და სამრეწველო საკუთრების დაცვის სამართალი, რომლებიც აერთიანებენ როგორც საჯარო, ასევე კერძო სამართლის ელემენტებს.

ამასთან, ეს კლასიფიკაცია უნდა განვიხილოთ არა როგორც აბსოლუტური, არამედ როგორც მიმართულების მიმცემი. თუმცა გონივრული კლასიფიკაცია შესაძლებელია ნაადრევ სამართლის გასაგებად ჩამოყალიბებას და ამით გააადვილოს სამართლის გამოყენება.

II. გამოხატვის ფორმა – სიტყვათა შერჩევა

საკანონმდებლო ტექნიკის წესების მეორე ჯგუფი გულისხმობს კანონის ენას, განსაკუთრებით კი სიტყვათა ისე შერჩევას, რომელიც სათანადოდ იქნება რეალიზებული. ისტორიული თვალსაზრისით, ბევრ ერთმანეთისაგან განსხვავებულ სამართლებრივ სისტემაში ვხვდებით ნეგატიურ გავლენას იურიდიულ სტილზე, რაც ასევე მნიშვნელოვნად ეხება კანონმდებლის სტილს. ძირითადად ამას იწვევს:

- „მხატვრული“ (შელამაზებული), მაგრამ ნაკლებად გასაგები და ძნელად აღსაქმელი სამეტყველო სტილისათვის უპირატესობის მინიჭება;
- კანონის მნიშვნელობის გარეგნული ხაზგასმა აქცენტირებულად რთული გამოხატვის ფორმის საშუალებით;
- იდენტური ტერმინების უსარგებლო ჩამონათვალი შეძლებისდაგვარად ამომწურავი რეგულირების მიზნით;
- იურისტთა ანაზღაურების დადგენა დოკუმენტის მოცულობის მიხედვით.

ამგვარ პრაქტიკას არანაირი ლოგიკური გამართლება არა აქვს. ამის საპირისპიროდ რეკომენდებულია:

- აბსტრაქტულად ფორმულირება, ზედმეტი სიტყვების თავიდან ასარიდებლად;
- გამოხატვის საყოველთაოდ მიღებული ფორმების გამოყენება, რადგანაც ისინი შესაძლებელია ფართო განხილვის საგნად იქცნენ. ეს განსაკუთრებით ეხება ქართულ ენაში უცხო სიტყვების გამოყენებას. ამ შემთხვევაში რეკომენდებულია, რომ უცხო სიტყვა საკუთარი კანონის ენაზე უცვლელად იქნეს გადმოტანილი. ეს აუცილებელია თარგმანის უზუსტობით გამოწვეული გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად და, ამასთან, ხელს უწყობს კონკრეტული ცნების დამკვიდრებას არსებული გამოცდილების საფუძველზე;
- განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზედმეტ სიტყვებზე უარის თქმა, რადგანაც ისინი ძირითადი შინაარსიდან ყურადღებას ფანტავენ, რაც მკითხველს ზედმეტი კონცენტრაციისა და, აქედან გამომდინარე, დროის დაკარგვის ფასად უჯდება;
- გამოყენებული ცნებები შეძლებისდაგვარად აბსოლუტური უნდა იყოს და არა რელატიური. მაგალითად, უნდა მოვერიდოთ ისეთ ფორმულირებას, როგორიცაა „მანქანის სწრაფად ტარება აკრძალულია“, ამის ნაცვლად უნდა დადგინდეს მაქსიმალურად კონკრეტული ზღვარი, რათა განსხვავებული ინტერპრეტაციის ალბათობა მინიმუმამდე დავიდეს. თუმცა, როდესაც კონკრეტული ზღვარის დადგენა შეუძლებელია, წესის რაობა დგინდება განსხვავებული ნიშან-თვისებების შეფასებითი ანალიზის საფუძველზე. აქ, პირველ რიგში, იგულისხმება კლასიკური სიტყვები, რომლებიც სამართლის მომხმარებელს შეხედულებისამებრ მოქმედების საშუალებას აძლევს;

– გარდა ამისა, აუცილებელია მოვერიდოთ ჰიპოთეზურ და მეტაფორულ გამონათქვამებს, ირონიას, უარგონს, ისევე როგორც მხატვრული ენის სტილისტურ ელემენტებს (ალიტერაცია და ა.შ), რადგანაც ისინი გარკვეულწილად ფარავენ ძირითად საკანონმდებლო მიზანს და შესაძლებელია, გაუგებრობების მიზეზადაც იქცნენ. ამავე დროს, ყურადღება უნდა მიექცეს შინაარსობრივ დატვირთვას, როდესაც ვიყენებთ ტექნიკურ ტერმინოლოგიას;

– ზოგადი წესია, რომ კანონები არ უნდა იყოს ზედმეტად რთული, რადგანაც ისინი საშუალო ინტელექტუალური დონის ადამიანებისთვისაა განკუთვნილი. ამასთან, რთული გამონათქვამები სამართლის მომხმარებლისაგან ასევე ზედმეტ დროსა და კონცენტრაციას ითხოვს, რაც, თავის მხრივ, თავად პრობლემის მოგვარებას შეიძლება მოხმარდეს;

– სიტყვის მნიშვნელობა ფაქტობრივი და არა სამართლებრივი საკითხია. კანონი, რომელიც ფრინველებს ცხენებად აცხადებს, უაზრო და, აქედან გამომდინარე, ბათილია. თუმცა დასაშვებია სამართლებრივი ფიქციები, რომლებიც კანონში გარემოებათა ვარაუდს აფიქსირებენ და რეალურად არ არსებობენ. ამისაგან უნდა განვასხვავოთ ვარაუდი, რომელმაც, როგორც წესი, სანინალმდევოს დამტკიცებით შეიძლება დაკარგოს ძალა. ვინაიდან სიტყვის მნიშვნელობა ფაქტობრივი საკითხია, შეიძლება დავასკვნათ, რომ კანონში განმარტებათა ჩამონათვალი ყოველთვის მიზანშეწონილი არ არის – როგორც ეს ამერიკისა და, ხშირად, საქართველოს სამართალშიც ხდება. სამართლებრივი განმარტება მხოლოდ იმ შემთხვევაშია მიზანშეწონილი, თუ კანონი რომელიმე კონკრეტული ცნებისათვის განსაკუთრებული, ენობრივი მნიშვნელობისგან განსხვავებული შინაარსის მინიჭებას ისახავს მიზნად. ყველა სხვა შემთხვევაში ზედმეტი განმარტებები ადრესატს უფრო აბნევს, ვიდრე ეხმარება, რადგანაც იგი, როგორც წესი, კანონის ტექსტის ზოგად ენობრივ მნიშვნელობასთან შედარებას მოითხოვს, მაშინაც კი, როდესაც ორივეს მნიშვნელობა ერთმანეთს ემთხვევა;

– კანონები ასევე არ უნდა შეიცავდნენ დასაბუთებას, რადგანაც დასაბუთება შესაძლებელია უთანხმოების მიზეზად იქცეს კანონის მოქმედებასთან დაკავშირებით და ამით კანონის ქმედითობას საფრთხე შეუქმნას. თუმცა შესაძლებელია, გონივრული იყოს, რომ კანონმდებელმა მოტივები კანონის მიღმა, მაგალითად ოქმებში, დააფიქსიროს;

– ასევე არ არის მიზანშეწონილი კანონის ენის შეცვლა, თუ მიზნად აზრის შეცვლას დავისახავთ. ეს ეხება როგორც ერთ ცალკე აღებულ კანონს, ასევე კანონთა ერთობლიობას. ამავე დროს, ამ ბოლო მომენტის უზრუნველყოფა საკმაოდ რთულია, რადგანაც სხვადასხვა ავტორი, ხშირ შემთხვევაში, ცნებებს განსხვავებულად აღიქვამს. თუმცა აუცილებელი პრინციპია, კანონმდებელი სამართალს იცნობდეს. ამიტომ ახალი კანონები შეძლებისდაგვარად ჰარმონიულად უნდა შეესაბამებოდნენ უკვე არსებულ კანონებს. ეს საკმაოდ რთული ამოცანაა, რომელსაც მდიდარი დემოკრატიული ტრადიციების მქონე საზოგადოებებშიც ხშირად სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ასევე ის მომენტიც, რომ მსგავს ცნებებს, მაგალითად საკუთრების ცნებას, სხვადასხვა სამართლებრივ სფეროში სრულიად განსხვავებული მნიშვნელობები შეიძლება ჰქონდეს. ეს გამოწვეულია მათი გამოყენების განსხვავებული მიზნებით, რაც შესაბამის ენობრივ ადაპტაციას განაპირობებს. თუმცა მნიშვნელოვანია ისიც, რომ მსგავსი მიზნები შეძლებისდაგვარად მსგავს ენობრივ ერთეულებს მოითხოვენ.

III. წინადადების წყობა

წინადადების წყობაში კანონის ლოგიკისა და სტრუქტურის ნათლად წარმოსაჩენად, განსაკუთრებით, შემდეგი რჩევების გათვალისწინებაა რეკომენდებული:

– მოკლე წინადადებების გამოყენება, რადგანაც მოკლე წინადადებები ხელს უწყობს აზრების გამოკვეთას და მათი მიმდევრობის უკეთ აღქმას;

– გარდა ამისა, მიზანშეწონილია მოქმედებებისა და პროცესების აღწერისას ზმნების გამოყენება;

- ზმნები მოქმედებითი გვარის ფორმით უნდა იყოს გამოყენებული;
- აუცილებელია ზუსტი პუნქტუაციის დაცვა;
- მთლიანობაში კანონის ენობრივი სტილი გასაგები და ზუსტი უნდა იყოს, რის საფუძველზეც უნდა აიგოს წინადადების წყობა.

IV. კანონმდებლის თავისუფლება და შეზღუდვები

კანონმდებლის ამ ენობრივ შეზღუდვებს ემატება ასევე მთელი რიგი სხვა შეზღუდვებისა, რომლებიც, ძირითადად, ნორმატიულ, სოციალურ ან ლოგიკურ ხასიათს ატარებენ, და რომლებიც მსურს თეზისების სახით შემოგთავაზოთ:

- კანონმდებლის ნორმატიული შეზღუდვები, პირველ რიგში, კონსტიტუციიდან გამომდინარეობს. ბათილია დებულებები, რომლებიც წინააღმდეგობაშია ძირითად უფლებებთან; მაგალითად, კრძალავს რელიგიურ აღმსარებლობას ან არსებითი მიზეზის გარეშე ქალებს მამაკაცების მიმართ (ან პირიქით) პრივილეგიურულ მდგომარეობაში აყენებს. შესაბამისად, აკრძალავს, ძირითად უფლებებთან მათი განსაკუთრებული მიმართების გამო, საკმაოდ ვიწრო ჩარჩოები ესაჭიროებათ;

- გარდა ამისა, არსებობს ნორმატიული შეზღუდვები, რომლებიც ასევე მომდინარეობენ სამართლებრივი სისტემის კონსტიტუციით დაცულ ნორმათა კომპლექსიდან, აქ, პირველ რიგში, იგულისხმება სამართლის უფრო მაღალი რანგის სამართალთან შესაბამისობის პრინციპი;

- კანონმდებლის სხვა შეზღუდვები განპირობებულია ფიზიკური და ბიოლოგიური რეალობით. ასე მაგალითად, კანონი ვერ დაადგენს, რომ მამაკაცები იგივენი არიან, რაც ქალები, ან ძაღლები და კატები არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თუმცა შესაძლებელია და გონივრულიც, რომ ფიზიკურად და ბიოლოგიურად განსხვავებული ცნებები ნორმატიულად იმგვარად დაეკავშიროთ, რომ შესაძლებელი გახდეს თანაბარი ან იდენტური სამართლებრივი შედეგების დადგენა;

- კანონმდებელმა, გარდა ამისა, უნდა გაითვალისწინოს სოციალური რეალობა. ასე მაგალითად, არ იქნება გონივრული ისეთი სამართლებრივი შედეგების დადგენა, რომელთა რეალიზაციის მცირე, ან საერთოდ არანაირი შანსი არ არსებობს, რადგანაც ისინი ცალკეულ ინტერესს, მოსახლეობის მენტალიტეტს ან ჩამოყალიბებულ ადათ-წესებს ეწინააღმდეგებიან, ან სცდებიან მათ;

- კანონები ორიენტირებული უნდა იყოს რეალობაზე და არა პოლიტიკურად სასურველ, მაგრამ განუხორციელებად მიზნებზე. შრომის ან სუფთა გარემოს შესახებ კანონი შესაძლებელია კეთილ ნებას გამოხატავდეს, მაგრამ ის ვერ დაედება საფუძველად რეალურად განხორციელებად, შესრულებად სამართალს. ამას შედეგად შეიძლება მოჰყვეს ის, რომ მხოლოდ ქაღალდზე დანერგილი წესები მოსპობს მოსახლეობის ნდობას სამართლებრივი სისტემის მიმართ;

- კანონები უნდა იყოს თანამედროვე. მითითებები უნდა გაკეთდეს სხვა სამართლებრივ სფეროებში მიმდინარე პროცესებზე. ისინი უნდა ითვალისწინებდნენ ცხოვრებისეული რეალობის ცვლილებებს, მაგალითად, როგორც ეს იქნებოდა ეტლიდან ავტომობილამდე განვითარების პროცესის შემთხვევაში, ასევე თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გავრცელებას;

- ასევე არ არის გონივრული ვალდებულებების დანესება, თუკი ამავდროულად არ იქნა შექმნილი შესაბამისი ქმედუნარიანი ინსტიტუტები, რომლებიც ამ ვალდებულებების შესრულებას გააკონტროლებენ, დადგენილ ნორმებთან მათი შესაბამისობის თუ შეუსაბამობის თვალსაზრისით, და რომლებიც მზად იქნებიან, საჭიროებისამებრ აღასრულონ კანონით დადგენილი ნორმები;

- გარდა ამისა, დაუშვებელია კანონის ძირითადი შინაარსის გადატვირთვა გამონაკლისების, შეზღუდვებისა და ცვლილებების დიდი რაოდენობით. საერთო ჯამში, კანონი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს არც ჯანსაღ ადამიანურ შეგნებას და არც მოსახლეობის უმრავლესობის სამართლიანობის შეგრძნებას. უაზრო და უსამართლო კანონები მთელი სამართლებრივი სისტემის დისკრედიტაციას ახდენენ და ამით ასუსტებენ სახელმწიფოს ავტორიტეტს;

- კანონები ასევე არ უნდა შეიცავდეს დასაბუთებებს, რადგანაც ამან შეიძლება გამოიწვიოს დისკუსია ლეგიტიმურობის შესახებ და დაბადოს ეჭვი სამართლებრივი რეგულირების მართებულობის მიმართ. ამანაც შეიძლება ცუდად იმოქმედოს კანონმდებლის ავტორიტეტზე;
- ასევე უარი უნდა ითქვას კანონში ცვლილებების ძალიან ხშირად შეტანაზე, რადგან ამანაც შეიძლება განაპირობოს კანონის ძალის მიმართ მოქალაქეთა ნდობის დაკარგვა;
- კანონმდებელი აზრებს ლოგიკურად უნდა აყალიბებდეს და არ უნდა ვარდებოდეს სტრუქტურულ წინააღმდეგობებში. უპირველეს ყოვლისა, იგი კანონებს უნდა განიხილავდეს ყველაზე ლოგიკური ინტერპრეტაციის წესების შესაბამისად.

V. დასკვნა

ბოლოს მინდა დასკვნის სახით აღვნიშნო, რომ მრავალი ელემენტარული პრინციპის გათვალისწინება საკანონმდებლო პროცესში შეიძლება დაგვეხმაროს სამართლებრივი წყობის გამყარებასა და ამით, უპირველესად, იმ ხარჯების შემცირებაში, რომლებიც თავს იჩენენ სამართლის არასწორად გამოყენების შემთხვევაში. თუმცა მე ისიც ვიცი, რომ ყველა კარგი განზრახვა და კეთილი ნება, რასაც წარმოდგენილი პრინციპები მოითხოვს, პოლიტიკური გარიგებების შემთხვევაში ძალზე ადვილად შეიძლება განადგურდეს, კერძოდ მაშინ, როდესაც სხვადასხვა ინტერესთან დაკავშირებით ვაჭრობა და დროის წნეხის ქვეშ პოლიტიკური კომპრომისის ძიება არ იძლევიან საკანონმდებლო ზუსტი ტექნიკისა და იურიდიული ხელოვნების პრინციპების გათვალისწინების შესაძლებლობას. ამიტომ უმთავრეს აუცილებლობად საკანონმდებლო პროცესში კარგი განზრახვებისა და კეთილი ნების პროცედურული ნორმების დაცვა გვესახება, რაც შესაძლებელს გახდის საკანონმდებლო პროცესის მიმართ არსებული სამართლიანი ინტერესების გათვალისწინებას და იმის გადამოწმებას, თუ რამდენად შეესაბამება დღევანდელობას ეს პროცედურული ნორმები. თუკი ეს მოხდება, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, მომავალში აღარ მოგვინევს საყვედურების მოსმენა იმის გამო, რომ, მართალია, კარგი კანონები მივიღეთ, მაგრამ მათ რატომღაც არავინ ასრულებს.